სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ფსიქიატრია
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ნანეიშვილი
პროგრამის მიზანი:
სავარაუდო საკვლევი თემა: სტრესულ აშლილობათა კლინიკა, მკურნალობა და რეაბილიტაციის თავისებურებანი საქართველოში ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა შორის

სადოქტორო პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს: ტრავმულ სტრესულ აშლილობათა შესახებ არსებული ცოდნის კონსოლიდირება, კლინიკურ თავისებურებათა გამოვლენა და მკურნალობა – რეაბილიტაციის დროული და ეფექტური მიდგომის დანერგვა პრაქტიკაში. სპეციალური სამეცნიერო პუბლიკაციებისა და სასწავლო კურსების მომზადება, რომელთაც ექნება როგორც სამეცნიერო – თეორიული, ასევე გამოყენებით – პრაქტიკული მნიშვნელობა.

პროგრამის აქტუალობა და სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

როგორც ცნობილია, წამება, ეთნიკური წმენდა და სხვა განსაკუთრებული სტრესული მოვლენები, რომელიც სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის, იწვევენ გამოხატულ სტრესულ დარღვევებს, რომელთა სიმპტომებიც გამოირჩევა პოლიმორფულობითა და მრავალფეროვნებით. ამგვარ ტრავმულ სტრესულ მოვლენათა შორის ეთნოწმენდას, წამებასა და სასტიკ მოპყრობას, ომის დროის დანაშაულებებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. აღნიშნულ სტრესულ დარღვევათა შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეპორტირებულთა შორის.

აღნიშნული პრობლემა კვლავ ინარჩუნებს ინტენსიურ აქტუალობას მთელს მსოფლიოში ტრავმული სტრესით გამოწვეულ აშლილობათა გამომწვევ ფაქტორთა ფართომასშტაბიანობის, ამოუწურაობისა და მრავალფეროვნების ფონზე.

Aამავდროულად უნდა აღინიშნოის, რომ მოცემული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში 1991 - 1992 წლებიდან მოყოლებული სამხედრო კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ – საქართვრლოს ომის შემდეგ, რომლის შედეგადაც 500 000 ადამიანზე მეტი ერთხელ მაინც აღმოჩნდა ეთნიკური წმენდის, წამებისა თუ სხვა სახის არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდო საკვლევი პრობლემები შემდეგია:

- ტრავმული სტრესით გამოწვეულ სტრესულ აშლილობათა კლინიკური თავისებურებების განსაზღვრა საქართველოში ეთნიკური წმენდის, წამებისა და სხვა სასტიკი მოპყრობის მსხვერპლთა შორის.
- ტრავმულ მოვლენათა იდენტიფიცირება და მათი კორელაციური კავშირის დადგენა კლინიკურ გამოვლინებებსა და სოციალური ფუნქციონირების დარღვევებთან.
- დამატებით სტრესულ ფაქტორთა იდენტიფიცირება და მათი გავლენის განსაზღვრა ტრავმული სტრესით გამოწვეულ სტრესულ აშლილობათა მიმდინარეობაზე.

- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა და მათში გამოვლენილ სტრესულ აშლიობათა შედარებითი ანალიზი.
- აღნიშნულ კვლევასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მკურნალობა – რეაბილიტაციის გაიდლაინების ჩამოყალიბება და ეფექტური მიდგომების, კრიზისული და ასევე პოსტ – კრიზისული სიტუაციების მართვის პრინციპების გაუმჯობესება.

Pპროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია

- სტრესულ აშლილობათა სამკურნალო – რეაბილიტაციური მულტიპროფილური პრინციპების შემუშავება, რასაც შესაძლოა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენება როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც.
- ფსიქიატრიის მნიშვნელოვანი სფეროს - სოციალური ფსიქიატრიის, განსაკუთრებით კი სტრესთან დაკავშირებული აშლილობების, შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაღრმევება
- დარგობრივი სასწავლო პროგრამების დანერგვა, როგორც პროფესიული ჯგუფების, ასევე რეაბილიტაციაში ფართოდ ჩაბმული მულტიდისციპლინური ჯგუფებისათვის.
- სასამართლო ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიურ ექსპერეტიზაში ტრავმული სტრესის შედეგების დიაგნოსტირების პრინციპების ჩამოყალიბება, რაც ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლთა სრულყოფილი რეაბილიტაციისათვის.

მოცემული სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდეგ, მომავალი მედიცინის დოქტორი იქნება სერიოზული რესურსი სოციალური ფსიქიატრიის დარგში, რომელიც ზედმიწევნით კარგად ფლობს ტრავმული სტრესით გამოწვეულ აშლილობათა შესახებ დარგობრივ ცოდნას, შესძლებს განახორციელოს სპეციალური სასწავლო თუ პრაქტიკული სამკურნალო – სარეაბილიტაციო პროგრამები;

ცოდნა – პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს მოეთხოვება ფართო, ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. აღნიშნული სადოქტორო პროგრამის დასრულებისას დოქტორანტი უნდა ფლობდეს:

- სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და პრინციპებს
- ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის (სამედიცინო სტატისტიკის), ფსიქიკური აშლილობებისა და სხვა მასთან დაკავშირებული დისციპლინების თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს.
- კვლევასთან დაკავშირებულ ბიოეთიკურ საკითხებს

კომპეტენციები და უნარ – ჩვევები – დოქტორი, რომელმაც წარმატებით გაიარა დოქტორანტურის კურსი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე,

შეძლებს თავი გაართვას სამეცნიერო პრაქტიკაში არსებულ და ახლად წარმოქმნილ პრობლემებს, შეძლებს სწორად და ხარჯ – ეფექტურად იმოქმედოს კრიზისულ სიტუაციებში, გადასცეს და გაავრცელოს როგორც თეორიული ცოდნა და უნარ – ჩვევები, ასევე პრაქტიკული გამოცდილება.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს რგორც სამეცნიერო – კვლევით სტრუქტურებში, ასევე სასწავლო ცენტრებში, სამკურნალო – რეაბილიტაციურ დაწესებულებებში, სხვა კლინიკებში, კრიზისულ სიტუაციათა მართვის სტრუქტურებში და სხვა. ამ დაწესებულებებში მისი დასაქმების სფეროს უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს მისი სპეციალობა (ექიმი – ფსიქიატრი).

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობებია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; სერთიფიცირებული პროფესია ფსიქიატრიაში; ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა მომხმარებილის დონეზე. Aაუცილებელია ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება ტრავმულ – სტრესულ აშლილობათა მკურნალობა – რეაბილიტაციის სფეროში, სამეცნიერო კვლევების, ნაშრომებისა და მოხსენებების გამოცდილება. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები გათავლისწინებული იქნება დოქტორანტის კანდიდატის შერჩევისას.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:
სამეცნიერო კვლევები შესრულებული იქნება თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიის დეპარტამენტის და "წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო- რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი "ემპათია"ს ბაზაზე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მატერიალურ – ტექნიკური რესურსი, ხელმისაწვდომობა სამიზნე ჯგუფებთან, ასევე მკურნალობა – რეაბილიტაციის საშუალებები.
არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან, მოთხოვნებიდან
გამომდინარე, სადოქტორო პროგრამაზე მიმდინარე სემესტრში შესაძლებლად მიგვაჩნია ერთი დოქტორანტის მიღება.